თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19
2019 წლის 7 ივნისი

ქ.თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 31/12/2018, 190020020.35.163.016448).

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**

დანართი

თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი
თავი I
თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი მოცემული ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	26,047.62	6,629.37	19,418.25	29,367.84	8,448.49	20,919.35
გადასახადები	6,528.37	0.00	6,528.37	17,835.30	0.00	17,835.30
გრანტები	16,604.72	6,629.37	9,975.35	8,733.49	8,448.49	285.00
სხვა შემოსავლები	2,914.53	0.00	2,914.53	2,799.05	0.00	2,799.05

ხარჯები	16,303.52	549.54	15,753.98	20,904.63	2,523.65	18,380.98
შრომის ანაზღაურება	2,551.13	0.00	2,551.13	2,739.80	0.00	2,739.80
საქონელი და მომსახურება	3,812.73	173.57	3,639.16	4,872.80	237.78	4,635.02
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
პროცენტი	204.39	0.00	204.39	111.19	0.00	111.19
სუბსიდიები	7,425.50	0.00	7,425.50	8,267.77	0.00	8,267.77
გრანტები	23.00	0.00	23.00	95.00	0.00	95.00
სოციალური უზრუნველყოფა	1,327.76	0.00	1,327.76	1,277.82	0.00	1,277.82
სხვა ხარჯები	959.00	375.97	583.03	3,540.24	2,285.87	1,254.37
საოპერაციო სალდო	9,744.11	6,079.83	3,664.28	8,463.21	5,924.84	2,538.37
არაფინანსური აქტივების ცვლილება	7,245.61	5,418.36	1,827.25	13,776.17	7,947.50	5,828.67
ზრდა	7,710.26	5,418.36	2,291.90	14,526.17	7,947.50	6,578.67
კლება	464.65	0.00	464.65	750.00	0.00	750.00
მთლიანი სალდო	2,498.50	661.47	1,837.03	-5,312.95	-2,022.66	-3,290.29
ფინანსური აქტივების ცვლილება	2,130.60	661.47	1,469.13	-5,690.91	-2,022.66	-3,668.25
ზრდა	2,130.60	661.47	1,469.13	0.00	0.00	0.00
ვალუტა და დეპოზიტები	2,130.60	661.47	1,469.13	0.00		
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სესხები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
აქციები და სხვა კაპიტალი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
კლება	0.00	0.00	0.00	5,690.91	2,022.66	3,668.25
ვალუტა და დეპოზიტები	0.00			5,690.91	2,022.66	3,668.25

ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სესხები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
აქციები და სხვა კაპიტალი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ვალდებულებების ცვლილება	-367.90	0.00	-367.90	-377.96	0.00	-377.96
ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საშინაო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
საგარეო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
კლება	367.90	0.00	367.90	377.96	0.00	377.96
საშინაო	367.90	0.00	367.90	377.96	0.00	377.96
საგარეო	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ბალანსი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

მუხლი 2. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება მოცემული ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	26512.28	6629.37	19882.90	30117.84	8448.49	21669.35
შემოსავლები	26047.62	6629.37	19418.25	29367.84	8448.49	20919.35
არაფინანსური აქტივების კლება	464.65	0.00	464.65	750.00	0.00	750.00
გადასახდელები	24013.78	5967.90	18045.87	35430.79	10471.15	24959.64
ხარჯები	16303.52	549.54	15753.98	20904.63	2523.65	18380.98
არაფინანსური აქტივების ზრდა	7710.26	5418.36	2291.90	14526.17	7947.50	6578.67

ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ვალდებულებების კლება	367.90	0.00	367.90	377.96	0.00	377.96
ნაშთის ცვლილება	2130.60	661.47	1469.13	-5690.91	-2022.66	-3668.25

მუხლი 3. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 29367,84 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	26,047.62	6,629.37	19,418.25	29,367.84	8,448.49	20,919.35
გადასახადები	6,528.37	0.00	6,528.37	17,835.30	0.00	17,835.30
გრანტები	16,604.72	6,629.37	9,975.35	8,733.49	8,448.49	285.00
სხვა შემოსავლები	2,914.53	0.00	2,914.53	2,799.05	0.00	2,799.05

მუხლი 4. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 17835.3 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	6,528.4	0.0	6,528.4	17,835.3	0.0	17,835.3
საშემოსავლო გადასახადი	1,770.7		1,770.7	0.0		
დამატებული ღირებულების გადასახადი				13,435.3		13,435.3
ქონების გადასახადი	4,757.7	0.0	4,757.7	4,400.0	0.0	4,400.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3,015.7		3,015.7	2,600.0		2,600.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1.855		1.855	0.000		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	109.0	0.0	109.0	40.0	0.0	40.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1.1		1.1	0.0		

არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	107.9		107.9	40.0		40.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	773.3	0.0	773.3	880.0	0.0	880.0
ფიზიკური პირებიდან	502.3		502.3	580.0		580.0
იურიდიული პირებიდან	271.0		271.0	300.0		300.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	857.8	0.0	857.8	880.0	0.0	880.0
ფიზიკური პირებიდან	183.9		183.9	230.0		230.0
იურიდიული პირებიდან	673.9		673.9	650.0		650.0

მუხლი 5. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 8733,49 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	16,604.72	6,629.37	9,975.35	8,733.49	8,448.49	285.00
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	10.55	0.00	10.55	0.00	0.00	
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	16,594.17	6,629.37	9,964.80	8,733.49	8,448.49	285.00
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	9,845.70	0.00	9,845.70	285.00	0.00	285.00
გათანაბრებითი ტრანსფერი	9,560.70		9,560.70	0.00		
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	285.00		285.00	285.00		285.00
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	6,748.47	6,629.37	119.10	7,375.59	7,375.59	0.00
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	6,629.37	6,629.37	0.00	6,897.59	6,897.59	0.00
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0			478.0	478.0	
სხვა ტრანსფერები	119.1	0.0	119.1	1,072.9	1,072.9	0.00

მუხლი 6. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2799.1ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	2,914.5	0.0	2,914.5	2,799.1	0.0	2,799.1
შემოსავლები საკუთრებიდან	746.5	0.0	746.5	560.0	0.0	560.0
პროცენტები	322.0		322.0	230.0		230.0
რენტა	424.4	0.0	424.4	330.0	0.0	330.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	316.7		316.7	250.0		250.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	107.7		107.7	80.0		80.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,631.5	0.0	1,631.5	1,583.1	0.0	1,583.1
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1,593.0	0.0	1,593.0	1,548.1	0.0	1,548.1
სანებართვო მოსაკრებელი	80.8		80.8	50.0		50.0
სახელმწიფო ბაჟი	0.000		0.000	0.000		
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.016		0.016	0.050		0.050
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	4.6		4.6	4.0		4.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1,303.7		1,303.7	1,294.0		1,294.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	203.8		203.8	200.0		200.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	38.5	0.0	38.5	35.0	0.0	35.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	38.5		38.5	35.0		35.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	524.9		524.9	650.0		650.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	11.68		11.68	6.0		6.0

მუხლი 7. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 20904,63 ათასი ლარის ოდენობით.

თელავის მუნიციპალიტეტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	16,303.52	549.54	15,753.98	20,904.63	2,523.65	18,380.98
შრომის ანაზღაურება	2,551.13	0.00	2,551.13	2,739.80	0.00	2,739.80
საქონელი და მომსახურება	3,812.73	173.57	3,639.16	4,872.80	237.78	4,635.02
პროცენტი	204.39	0.00	204.39	111.19	0.00	111.19
სუბსიდიები	7,425.50	0.00	7,425.50	8,267.77	0.00	8,267.77
გრანტები	23.00	0.00	23.00	95.00	0.00	95.00
სოციალური უზრუნველყოფა	1,327.76	0.00	1,327.76	1,277.82	0.00	1,277.82
სხვა ხარჯები	959.00	375.97	583.03	3,540.24	2,285.87	1,254.37

მუხლი 8. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 13776,17 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 14526,17 ათასი ლარის ოდენობით, მოცემული ცხრილის შესაბამისად:

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	4.2	0.0	4.2	566.69	0.00	566.69
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	34.9	0.0	34.9	21.61	0.00	21.61
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	6658.2	4978.9	1679.2	11003.50	7197.00	3806.51
04 00	განათლება	413.5	163.1	250.4	598.00	187.68	410.33
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	587.0	276.3	310.7	2005.77	305.24	1700.53
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	12.5	0.0	12.5	330.59	257.59	73.00
სულ ჯამი		7710.3	5418.4	2291.9	14526.17	7947.50	6578.67

ბ) განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 750,0 ათასი ლარის ოდენობით, მოცემული ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების კლება	464.7	0.0	464.7	750.0	0.0	750.0
ძირითადი აქტივები	274.3		274.3	50.0		50.0
არაწარმოებული აქტივები	190.4	0.0	190.4	700.0	0.0	700.0
მიწა	190.4		190.4	700.0		700.0

მუხლი 9. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, მოცემული ცხრილის შესაბამისად:

კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3,687.4	0.0	3,687.4	4,598.2	0.0	4,598.2
7.01.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3,467.9	0.0	3,467.9	4,407.0	0.0	4,407.0
7.01.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3,467.9	0.0	3,467.9	4,307.0	0.0	4,307.0
7.01.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	100.0	0.0	100.0
7.01.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	204.6	0.0	204.6	111.2	0.0	111.2
7.01.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	15.0	0.0	15.0	80.0	0.0	80.0
702	თავდაცვა	133.5	0.0	133.5	190.0	0.0	190.0
	საზოგადოებრივი წესრიგი და						

703	უსაფრთხოება	34.9	0.0	34.9	16.6	0.0	16.6
7.03.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში	34.9	0.0	34.9	16.6	0.0	16.6
704	ეკონომიკური საქმიანობა	5,668.5	4,607.9	1,060.6	8,212.1	5,538.3	2,673.9
7.04.2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0.0	0.0	0.0	54.4	54.4	0.0
7.04.2.1	სოფლის მეურნეობა	0.0	0.0	0.0	54.4	54.4	0.0
7.04.5	ტრანსპორტი	5,668.5	4,607.9	1,060.6	7,824.0	5,192.8	2,631.2
7.04.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5,668.5	4,607.9	1,060.6	7,824.0	5,192.8	2,631.2
7.04.7	ეკონომიკის სხვა დარგები	0.0	0.0	0.0	333.7	291.0	42.7
7.04.7.3	ტურიზმი	0.0	0.0	0.0	333.7	291.0	42.7
705	გარემოს დაცვა	887.1	102.2	784.9	1,162.5	129.2	1,033.3
7.05.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	734.9	0.0	734.9	833.0	0.0	833.0
7.05.2	ჩამდინარე წყლების მართვა	50.0	0.0	50.0	323.9	123.6	200.3
7.05.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	102.2	102.2	0.0	5.6	5.6	0.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	3,691.2	818.4	2,872.8	7,074.4	2,980.2	4,094.2
7.06.1	ბინათმშენებლობა	698.5	376.0	322.5	1,986.5	1,305.9	680.6
7.06.3	წყალმომარაგება	1,533.3	408.5	1,124.8	2,953.2	1,195.5	1,757.7
7.06.4	გარე განათება	852.6	33.9	818.7	1,005.3	0.9	1,004.4
7.06.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	606.7	0.0	606.7	1,129.5	478.0	651.5
707	ჯანმრთელობის დაცვა	131.5	0.0	131.5	557.6	257.6	300.0
7.07.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	131.5	0.0	131.5	557.6	257.6	300.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	3,602.2	276.3	3,325.9	5,536.9	305.2	5,231.6
7.08.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,922.2	231.7	1,690.5	3,389.5	305.2	3,084.2
7.08.2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,587.2	44.7	1,542.6	2,054.7	0.0	2,054.7
7.08.3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	40.0	0.0	40.0	40.0	0.0	40.0
7.08.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	52.8	0.0	52.8	52.8	0.0	52.8
709	განათლება	4,630.8	163.1	4,467.7	6,343.5	1,260.6	5,082.9

7.09.1	სკოლამდელი აღზრდა	4,546.5	163.1	4,383.4	5,063.0	187.7	4,875.3
7.09.2	ზოგადი განათლება	0.0	0.0	0.0	1,192.0	1,072.9	119.1
7.09.2.3	საშუალო ზოგადი განათლება	0.0	0.0	0.0	1,192.0	1,072.9	119.1
7.09.3	პროფესიული განათლება	84.3	0.0	84.3	88.5	0.0	88.5
710	სოციალური დაცვა	1,546.6	0.0	1,546.6	1,738.9	0.0	1,738.9
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	38.9	0.0	38.9	67.900	0.0	67.9
7.10.1.1	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	25.7	0.0	25.7	31.8	0.0	31.8
7.10.1.2	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	13.2	0.0	13.2	36.1	0.0	36.1
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	130.1	0.0	130.1	165.3	0.0	165.3
7.10.6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	39.0	0.0	39.0	55.0	0.0	55.0
7.10.7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	969.5	0.0	969.5	804.2	0.0	804.2
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	369.1	0.0	369.1	646.5	0.0	646.5
	სულ	24,013.8	5,967.9	18,045.9	35,430.8	10,471.1	24,959.6

მუხლი 10. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო (-5312,95) ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (-5690,91) ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (- 377.96) ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შექმნილია სარეზერვო ფონდი, რომელიც განისაზღვრება 100,0 ათასი ლარით და მისი განკარგვა ხორციელდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის დასაკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2019 წელს მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 285,0 ათ. ლარი, მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 90,0 ათ. ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 190,0 ათ. ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5,0 ათ. ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

თელავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მშენებლობა, რეაბილიტაცია რომელიც გულისხმობს, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებას, რეაბილიტაციას და ახლის მშენებლობას. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და ასფალტის საფარის ორმული შეკეთება, კერძოდ, ქ. თელავში, სოფ. კისისხევში, სოფ. კურდღელაურში, შალაური-კისისხევის დამაკავშირებელ გზაზე, სოფ. კონდოლში, სოფ. გულგულაში, სოფ. ვარდისუბანში, სოფ. ნაფარეულში და სხვა. ქუჩები შეირჩევა დაზიანების ხარისხის და დანიშნულების მიხედვით; აღნიშნული პროგრამის დაფინანსების ფარგლებში განხორციელდება გზების და ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ქ. თელავში ერეკლე II მოედანზე ქვაფენილის მონაკვეთის ასფალტის საფარით ჩანაცვლება, ქ. თელავის ქუჩების – ყარალაშვილის, ალ. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, კორძაძის ჩიხის, აგრეთვე სოფ. რუისპირის შიდა გზების, სოფ. გულგულის შიდა გზების და სოფ. ლალისყურის სასაფლაოს გზის და სხვა გზების რეაბილიტაცია, აღნიშნული ღონისძიებები გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას. აგრეთვე ხორციელდება საგზაო მოძრაობის სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით დარეგულირების (მოვლა-პატრონობის) მომსახურების შესყიდვა, საგზაო მოძრაობის დადგენილი წესების მიხედვით შესაბამისი საგზაო ნიშნების მოწყობა, დახაზვა და გადასასვლელების მოწესრიგება. ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შიდა გზების შეკეთებისათვის სპეც. ტექნიკის შეძენა, აგრეთვე ზამთრის პერიოდში შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად გზების გაწმენდა თოვლისაგან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის ფარგლებში განხორცილებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს მგზავრთა შეუფერხებელ, კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას.

მოსალოდნელი შედეგი: მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა;

შედეგების შეფასების ინდიკატორი: რეაბილიტირებული გზების მაჩვენებელი.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჩამდინარე წყლის სისტემების (ნიაღვარგამტარი და მიმღები კოლექტორების) რეაბილიტაცია, მოვლა-პატრონობა და ახლის მოწყობა, გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან და ახლის მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯები; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება. ინფრასტრუქტურისა და გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობების თანადაფინანსება და ბინათმშენებლობასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები, საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, წყალმომარაგების სისტემების მოვლა-შენახვის, ექსპლოატაციის და რეაბილიტაციის ხარჯები და სხვა.

მოსალოდნელი შედეგი:

განათებული მუნიციპალიტეტი, გაუმჯობესებული წყალმომარაგება და სანიტარიული პირობები. საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა – ამხანაგობების თანადაფინანსებით.

შედეგების შეფასების ინდიკატორი: განათებული ქუჩების გაზრდილი მაჩვენებელი; სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფის გაზრდილი მაჩვენებელი; საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლებული მუნიციპალიტეტი, დასუფთავების და ნარჩენების გატანის ინტესიურობის მაჩვენებელი. ამხანაგობის მიერ დასახული პრიორიტეტების მაჩვენებელი.

ბ.ა) ბინათმშენებლობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)

მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შექმნილი საერთო პრობლემების გადაჭრის მიზნით ამხანაგობების მიერ წამოჭრილი თემების განხილვის შედეგად, საკრებულოს მიერ მიღებული წესის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების პრინციპით – ნაწილობრივ მოსახლეობის რესურსების გამოყენებითდაფინანსდება სახურავების, სადარბაზოების და სხვ. რეკონსტრუქცია – შეკეთების ღონისძიებები. აგრეთვე ბინათმშენებლობასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების დაფინანსება.

ბ.ბ) გარე-განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე-განათების ქსელის ექსპლუატაცია, მოვლა-პატრონობა და გარე-განათებაზე გახარჯული ელ.ენერგიის ხარჯების დაფინანსება. ასევე, განხორციელდება გარე განათების ახალი ქსელების მოწყობის ღონისძიებები.

ბ.გ) გარემოს დაცვითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03) აღნიშნულის ფარგლებში ხორციელდება:

ბ.გ.ა) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03 01) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. თელავის ტერიტორიის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანადა სხვ.

ბ.გ.ბ) ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03 02) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სანიაღვრე არხების მოვლა-შენახვა და მის რეაბილიტაცია- ექსპლოატაციასთან და ახლის მოწყობასთან (სოფ. კურდღელაურის ცენტრალურ გზაზე, ქ. თელავში ალაზნის გამზირზე და აღმაშენებლის ქუჩაზე სასამართლოს მიმდებარედ და სხვ.) დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება;

ბ.გ.გ) გარემოს დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03 03) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება „უსახელო ხევის“ ნატანებისგან გაწმენდის სამუშაოებისათვის მომსახურების შესყიდვა.

ბ.დ) სასმელი წყლის „სოკო“ (პროგრამული კოდი 03 02 04)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლით (ფანტანი „სოკო) მომარაგების უზრუნველყოფა, მისი ხარჯების დაფინანსება;

ბ.ზ) სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05) ქვეპროგრამით ხორციელდება თელავის ტერიტორიაზე ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია.

ბ.ე) წყალმომარაგების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლით უკეთ მომარაგების მიზნით საჭირო ხდება ჭაბურღილების მოვლა-პატრონობა, დაზიანებული და მოძველებული სასმელი წყლის სისტემების შეკეთება, მოვლა-პატრონობა, ექსპლოატაციასთან და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, ბუნებრივი წყლების ლაბორატორიული შემოწმება და სხვა;

ბ.ვ) საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 08)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობას მათი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

გ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორცილებული ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი გარემოს შექმნას

მოსალოდნელი შედეგი: განხორციელებული გამწვანების ღონისძიებები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოვლილი სასაფლაოები; კეთილმოწყობილი გარემო და სხვა.

შეფასების ინდიკატორი: მოვლილი და გამწვანებული ტერიტორიები, მოვლილი და დასუფთავებული სასაფლაო.

გ.ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 01)

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სხვა ღონისძიებების გატარებას, მათ შორის მემორიალების და მიმდებარე ტერიტორიების აღდგენა/რეაბილიტაცია.

გ.ბ) პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოწყობის და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დასასვენებელი პარკების, სკვერების და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობას. ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს მწვანე საფარი.სეზონური მცენარეებით დეკორატიულად გაფორმდება ქალაქის სხვადასხვა ტერიტორია. ჩატარებული იქნება სხვადასხვა სახის სამუშაოები (მწვანე საფარის გათიბვა, მწვანე ბალახის დაგროვება და გატანა, ხე-მცენარეების დეკორატიული სხვლა,მწვანე ნარგავების მორწყვა, სეზონურად მოყვავილე ერთწლიანი ყვავილების დარგვა, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა);

გ.გ) სასაფლაოების მოვლა პატრონობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებების დაფინანსება.

დ) სოფლის მხადარჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამის ფარგლებში განხორცილებული ღონისძიებები ითვალისწინებს დასახლებაში დასახლებების საერთო კრებების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების და მასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებების დაფინანსებას.

ე) ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 07)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფ. ფშაველში კემპინგის მოწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით კომფორტული გარემოს შექმნა;

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

სკოლამდელი განათლების განვითარების სისტემის სტრატეგიული მიზანია სკოლამდელი აღზრდის სისტემა გახდეს სკოლასა და შემდგომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწას, კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალურ გამტარუნარიანობას და სხვა.სასწავლო-სააღზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას. განხორციელდება მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებები. აგრეთვე, აღსაზრდელებისთვის წლის განმავლობაში ჩატარდება სხვადასხვა, როგორც სპორტული ისე კულტურული ღონისძიებები.

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 31 ბაგა-ბაღი, ერთ-ერთ პრიორიტეტს ბაგა-ბაღებში წარმოადგენს აღმზრდელების გადამზადების საკითხი, აგრეთვე ბაღში ჰიგიენური პირობების მკაცრად დაცვა, რაც უპირველესია ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. სასწავლო-სააღზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას, მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებები. აგრეთვე, აღსაზრდელებისთვის წლის განმავლობაში ჩატარდება სხვადასხვა, როგორც სპორტული ისე კულტურული ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი: გაუმჯობესებული და უსაფრთხო სააღმზრდელო გარემო; გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა; ბავშვების სკოლისათვის მზაობა;

შეფასების ინდიკატორები: ბაგა-ბაღებში აღსაზრდელებისა და ჯგუფების რაოდენობის ზრდა; მოწესრიგებული შენობების რაოდენორივი ზრდა.

ა.ა) ა(ა)იპ – თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო (პროგრამული კოდი 04 01 01)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 31 ბაგა-ბაღი: №1 ბაგა-ბაღი, №3 ბაგა-ბაღი, №5 ბაგა-ბაღი, №8 ბაგა-ბაღი, №5 საბავშვო – ბაღი, №2 ბაგა-ბაღი, №6 ბაგა-ბაღი, №7 ბაგა-ბაღი, №9 ბაგა-ბაღი, სოფ.აკურის ბაგა-ბაღი, სოფ. ვანთის ბაგა-ბაღი, სოფ. ბუშეტის ბაგა-ბაღი, სოფ. ქვ.ხოდაშნის ბაგა-ბაღი, სოფ.

კონდოლის ბაგა-ბაღი, სოფ. ლალისყურის ბაგა-ბაღი, სოფ. კისისხევის ბაგა-ბაღი,სოფ. გულგულის ბაგა-ბაღი, სოფ. ვარდისუბნის ბაგა-ბაღი, სოფ. ყარაჯალის ბაგა-ბაღი, სოფ. რუისპირის ბაგა-ბაღი, სოფ. იყალთოს ბაგა-ბაღი, სოფ. სანიორის ბაგა-ბაღი, სოფ. თეთრწყლების ბაგა-ბაღი, სოფ. ფშავლის ბაგა-ბაღი, სოფ. ლაფანყურის ბაგა-ბაღი, სოფ. ართანის ბაგა-ბაღი, სოფ. შალაურის ბაგა-ბაღი, სოფ. კურდღელაურის საბავშვო ბაღი, სოფ. წინანდალის ბაგა-ბაღი, სოფ. ნაფარეულის ბაგა-ბაღი,სოფ. წინანდალის №2 ბაგა-ბაღი, რომლებიც გაერთიანებულები არიან და შედიან ააიპ – „ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში“ – დაფინანსება განისაზღვრება – 4545,0 ათ.ლარი (მ.შ. სუბსიდია 4465,0 ათ.ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა 80,0 ათ.ლარი). ერთ-ერთ პრიორიტეტს ბაგა-ბაღებში წარმოადგენს აღმზრდელების გადამზადების საკითხი, აგრეთვე ბაღში ჰიგიენური პირობების მკაცრად დაცვა, რაც უპირველესია ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. სასწავლო-სააღზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას, მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებები. აგრეთვე, აღსაზრდელებისთვის წლის განმავლობაში ჩატარდება სხვადასხვა, როგორც სპორტული ისე კულტურული ღონისძიებები.

ა.ბ) სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 01 02)

სასწავლო-სააღზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას, მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებების დაფინანსებას, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება „მერების შეთანხმების“ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი (ქ. თელავის №1 ბაგა-ბაღის და სოფ. იყალთოს ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია) ღონისძიებების თანადაფინანსება, სოფ. ყარაჯალის ბაგა-ბაღში ელექტრობის რეაბილიტაცია, სოფ. ვარდისუბნის ბაგა-ბაღის დემონტაჟი და სხვა.

ბ) პროფესიული განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა და ამ მიზნების განსახორციელებლად შესაბამისი პირობების შექმნა. მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების ხელშეწყობა, მოსწავლე-ახალგაზდობის შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამების განხორციელება. ზემოაღნიშნული ღონისძიებების შეუფერხებლად გატარების მიზნით, საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას. პროგრამა მოიცავს სახელოვნებო განათლების ღონისძიებებს. სასწავლო-შემოქმედებითი კუთხით პერსპექტიულ მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობაზე, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მხარდაჭერაზე. პედაგოგთა ხელშეწყობაზე. აღნიშნულ ორგანიზაციაში ფუნქციონირებს მრავალი წრე, რომელიც ემსახურება ბავშვთა შემოქმედებითი და ინტელექტუალური დონის ამაღლებას. (ხაზვის, ხატვის, სამეჯლისო ცეკვების, კულინარიის, მათემატიკის, უცხო ენის, ქართული ლიტერატურის, დიზაინის, რუსულის, სიმღერის, გიტარის, ლიტერატურული შემოქმედების, თექის, ქსოვის, გობელინის და ა.შ.... წრე), რომლის ფარგლებშიც ფინანსდება – **ააიპ – თელავის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი**, მისი დაფინანსება შეადგენს- 88,5 ათ.ლარს (სუბსიდიის მუხლი).

მოსალოდნელი შედეგი: მოზარდთა ინტელექტუალური, შემოქმედებითი სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა და ამაღლება.

შედეგის შეფასების ინდიკატორები: დაინტერესებულ მოზარდთა რაოდენობა.

გ) საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 04)

პროგრამის ფარგლებში საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით,თელავის მუნიციპალიტეტის ქვ. ხოდაშნის საჯარო სკოლაში განხორციელდება სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ღონისძიებები, აგრეთვე, განხორციელდება სხვა საჯარო სკოლებში მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის ღონისძიებები.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

თელავის მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავებას, სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნას, სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობას, მონაწილეობის მიღებას რესპუბლიკურ ღონისძიებებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განახლება.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობებში ფინანსური მხარდაჭერა, ვარჯიშისთვის შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების აღმოჩენა. სხვადასხვა ტურნირებზე, საქართველოსა და ევროპის ჩემპიონატებზე საუკეთესო შედეგების გამოსავლენად ხორციელდება მათი ადგილზე შეკრების და ვარჯიშების ჩატარება შესაბამისი პირობების შექმნით. 2019 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა შეჯიბრებები და მოხდება მათი ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული ბავშვები და მოზარდები; სპორტის სხვადასხვა სახეობების ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა;მოწესრიგებული სპორტული ობიექტების ინფრასტრუქტურა.

შეფასების ინდიკატორი: სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა რაოდენობა; სპორტულ ჯგუფებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა;

ა.ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას. ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას და მასობრივი სპორტის განვითარებას. აღნიშნულის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარება და მისი ხელშეწყობა (მ.შ. ქ. თელავში ჩოგბურთის საერთაშორისო ტურნირის ჩატარების ხელშეწყობის მიზნით თანადაფინანსება), რომლის მიზანია სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, ახალგაზრდობის დაინტერესების ზრდა სპორტისადმი და სხვა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მინი-მოედნებისმოწყობის ხარჯების დაფინანსება, სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ -ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების შეკეთება, აღდგენა, რეაბილიტაცია. გარე გამოყენების სავარჯიშო მოწყობილობების მოწყობა და სხვ.

ა.ბ) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

პროგრამის მიზანია სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება – პოპულარიზაცია, ადგილობრივი ნაკრების, ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები); სპორტის სხვადასხვა სახეობის ფედერაციებთან, სპორტულ ასოციაციებთან, სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა; სპორტი სსახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას. ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრებამოზარდ თაობაში. პროგრამა მოიცავს მუნიციპალიტეტში ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარებას. ნაკრები გუნდების მომზადებას და მონაწილეობას სხვადასხვა დონის სპორტულ ღონისძიებებში. პირველობების ჩატარება, მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება. სპორტის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. ინფრასტრუქტურის განვითარება, მატერიალურ – ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების მოვლა-პატრონობა. ამჟამად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციები: ბავშვთა და მოზარდთა სპორტთამაშების სკოლა, ჩოგბურთის კორტები, რომელიც მრავალ საერთაშორისო ტურნირის მასპინძელია,

საფეხბურთო სკოლა, ჭიდაობის სპორტული სკოლა, ჭადრაკის სახლი, სადაც ბევრი ცნობილი მოჭადრაკე აღზრდილა და დღესაც ღირსეულად ასპარეზობენ საერთაშორისო არენაზე და ა.შ. აღნიშნული პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და სხვადასხვა სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების განხორციელებისთვის. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში აღნიშნული ღონისძიებების განსახორციელებლად ფუნქციონირებს და ფინანსდება:**ა (ა) იპ თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება** – დაფინანსება – 160 ათ.ლარი (სუბსიდიის მუხლი); **ააიპ – თელავის საფეხბურთო სკოლა „თელავი“**–დაფინანსება – 245,0 ათ.ლარი (სუბსიდიის მუხლი);**ააიპ – თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება „თელავი“** – დაფინანსება – 731,4 ათ.ლარი (მ.შ. სუბსიდია – 672,4 ათ. ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 59,0 ათ. ლარი);**ააიპ – თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა „თელავი“** -დაფინანსება – 328,0 ათ.ლარი (სუბსიდიის მუხლი)

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებსა, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ – ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები. სხვადასხვა სახალხო და რელიგიური დღესასწაულების ჩატარება. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ქართული ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

მოსალოდნელი შედეგები: საზოგადოების პოზიტიური განწყობისა და ესთეტიკური დონის ამაღლება, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება მომავალი თაობებისათვის, ახალგაზრდების დაინტერესების ზრდა ხელოვნების დარგების მიმართ, ინტელექტუალური დონის ამაღლება, ნიჭიერი ბავშვების წარმოჩენა.

შეფასების ინდიკატორები:სახელოვნებო განათლების სპეციალობებით დაინტერესებულ მოსწავლეთა რაოდენობა; ფესტივალებსა და კონცერტებზე მონაწილე ბავშვების რაოდენობის ზრდა; ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა; ღონისძიებებზე დამსწრეთა დასწრების მაჩვენებელი.

ბ.ა) კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01) – აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსდება და ფუნქციონირებს კულტურული ორგანიზაციები რომლებიც ახორციელებენ კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებსა, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობას და სხვა

ბ.ა.ა) ააიპ – თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ – თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომლის ფუნქციონირებაც ითვალისწინებს ბავშვებსა და მოზარდებში ქართული ფოლკლორული ხელოვნების განვითარებას და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას. აღნიშნული ორგანიზაციის აღსაზრდელები მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ფესტივალებსა და კონცერტებში (დაფინანსება – 120 ათ.ლარი (სუბსიდიის მუხლი).

ბ.ა.ბ) სახელოვნებო სკოლები – პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული

მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ – ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს: **ააიპ – თელავის ელ.ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა**- დაფინანსება- 90,0 ათ.ლარი (სუბსიდიის მუხლი);**ააიპ – თელავის №1 სამუსიკო სკოლა** – დაფინანსება – 89,0 ათ.ლარი (სუბსიდიის მუხლი);**ააიპ – თელავის №2 სამუსიკო სკოლა** – დაფინანსება – 80,0 ათ.ლარი (სუბსიდიის მუხლი).**ააიპ – რუისპირის სამუსიკო სკოლა** – დაფინანსება – 58,0 ათ.ლარი (სუბსიდიის მუხლი).**ააიპ – წინანდლის სამუსიკო სკოლა** – დაფინანსება – 110,0 ათ.ლარი (სუბსიდიის მუხლი).**ააიპ – აკურის სამუსიკო სკოლა** – დაფინანსება – 53,0 ათ.ლარი (სუბსიდიის მუხლი).

ბ.ა.გ) ააიპ – საბიბლიოთეკო გაერთანება – მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს ააიპ – „საბიბლიოთეკო გაერთიანება“ (მ.შ. საბავშვო ბილბიოთეკა), სადაც მუდმივად მიმდინარეობს ლიტერატურის და პრესის განახლება, აღნიშნული ორგანიზაციის მეშვეობით საზოგადოებას ეძლევა საშუალება მუდმივად გაეცნოს და მიიღოს ინფორმაცია მისთვის საჭირო და საინტერესო საკითხებზე. მკითხველთათვის ხდება საბიბლიოთეკო დოკუმენტებისა და სამეცნიერო, საინფორმაციო პროდუქციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ბეჭდური, ელექტრონული და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები). მუდმივად ხდება წიგნადი ფონდის განახლება (დაფინანსება – 278,6 ათ.ლარი (მ.შ. სუბსიდია 264,6 ათ.ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა 14,0 ათ.ლარი)).

ბ.ა.დ) თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი -პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია ააიპ – თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, რომელიც მრავალი სხვადასხვა ადგილობრივი კულტურული ღონისძიების და ფესტივალის ხელისშემწყობიდა განმახორციელებელია (ადგილობრივ და ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიებები და სხვა). რომლის დროსაც მნიშვნელოვანია ტრადიციების მაქსიმალური შენარჩუნება, რათა სასიამოვნო და დაუვიწყარი გარემო შეიქმნას როგორც ჩვენი მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტებისთვისაც. პროგრამა ითვალისწინებს ხელოვანების ღირსეულად წარმოჩენასა და მათი შემოქმედების ხელშეწყობას, ფესტივალების, კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების ხელშეწყობას, დამეგობრებულ ქალაქებთან კულტურული ურთიერთობების შენარჩუნება-გაფართოების მიზნით სპეციალური გაცვლითი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალის ჩატარებას, მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში სხვადასხვა თაობის ხელოვანების ჩართულობას და სხვა.აგრეთვე მის დაქვემდებარებაშია სიმღერის ანსამბლები და მუსიკალური ბენდი; (დაფინანსება – 879,07 ათ.ლარი (მ.შ. სუბსიდია 864,07 ათ.ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა 15,0 ათ.ლარი)).

ბ.ა.ე) კულტურისა და დასვენების პარკი „ნადიკვარი“ პროგრამის ფარგლებში ფინანსდება კულტურისა და დასვენების პარკი ნადიკვარი. პარკი მოსახლეობისათვის გასართობი და დასასვენებელი ადგილია, სადაც ფუნქციონირებს სხვადასხვა ატრაქციონები, მოწყობილია დასასვენებელი კუთხეები, სასეირნო ბილიკები და საზაფხულო თეატრი. ყველა თაობის მოსახლეობას საშუალება ეძლევა გაერთოს და დაისვენოს. მუდმივად ახლდება ინფრასტრუქტურა და მუდმივად ხდება ზრუნვა კომფორტული გარემოს შექმნაზე (დაფინანსება – 50,0 ათ.ლარი – სუბსიდიის მუხლი).

ბ.ა.ვ) სსიპ ვაჟა ფშაველას სახელობის თელავის პროფესიული დრამატული თეატრი

სსიპ ვაჟა ფშაველას სახელობის თელავის პროფესიული დრამატული თეატრის თანადაფინანსება, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს კულტურული ცხოვრების დამკვიდრებაში (დაფინანსება- 15,0 ათ.ლარი).

ბ.ბ.) კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურული ღონისძიებების და ინიციატივების დაფინანსება. აგრეთვე განხორციელდება სოფ. ვარდისუბანში კულტურის სახლის ოთახების რეაბილიტაცია, სოფ. სანიორეში კულტურის სახლის დემონტაჟის სამუშაოები და სხვა.

გ) საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების და ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც ხდება ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, მათი საქმიანობის ხელშეწყობა, ახალგაზრდობის ჩართულობა საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში (ლაშქრობები, ექსკურსიები, და ა.შ.) და სხვა. რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს მიეცემათ საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების რეალიზებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობა. პროგრამის ფარგლებში დაიგეგმება და განხორციელდება ახალგაზრდული ბანაკები; ჩატარდება ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის ახალგაზრდული ღონისძიებები; ახალგაზრდებისთვის განხორციელდება გასართობი, შემეცნებითი და სხვა ღონისძიებების ორგანიზება ან/და მხარდაჭერა. აღნიშნული მიმართულებით აქტიური მუშაობა ხელს შეუწყობსგადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობას.

მოსალოდნელი შედეგი: სოციალურად აქტიური ახალგაზრდები. ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობის არეალის გაფართოვება და მათი აქტივობის ზრდა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები:განხორციელებული პროექტების რაოდენობა;

დ) ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა – ჟურნალ „ოლე“-ს და „საქართველოს მოამბე“-ს თანადაფინანსება.

ე) ძეგლთა დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში მუდმივად მიმდინარეობს კულტურული და ისტორიული ძეგლების აღრიცხვა – პასპორტიზაცია, მოვლა-პატრონობა, საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, რეაბილიტაცია, თანამშრომლობა შესაბამის ორგანიზაციებთან. ახლად აღმოჩენილ ისტორიულ ძეგლებზე ინფორმაციის მოძიება, სამუშაოების განხორციელება და სხვა.

მოსალოდნელი შედეგი:შესწავლილი და გამოვლენილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის აქამდე უცნობი ძეგლები/ობიექტები. შენარჩუნებულია მნიშვნელოვანი, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლები.

შედეგის შეფასების ინდიკატორი: მოვლილი და რეაბილიტირებილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

ვ) დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 06)

პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა კომფორტული დასასვენებელი ადგილების შექმნასმომავალი თაობისთვის და აგრეთვე, ზრდასრული ადამიანებისთვის. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. თელავში დასვენების პარკი „ნადიკვარ“-ზე ამფითეატრის, არსებული ტერასების რეაბილიტაცია, ახალი ფანჩატურების მოწყობა, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოეწყობა დასასვენებელი ადგილები (სკვერები) და სხვა.

მოსალოდნელი შედეგი: კომფორტული დასასვენებელი ადგილების მოწყობა

შედეგის შეფასების ინდიკატორი: კმაყოფილი მოსახლეობა.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება. განხორციელდება მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით

და ფართით უზრუნველყოფა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით პროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 01)

ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა წარმოადგენს პროცესს, რომელიც მიმართულია ადამიანის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის კონტროლისა და გაუმჯობესებისაკენ. პროგრამა უზრუნველყოფს მოსახლეობის ყველა ფენისათვის იმ შეგნების ჩანერგვას, რომ აუცილებელია საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის გზით. ამ პროგრამის მთავარი მიზანი მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის მიღწევა და მოსახლეობაში ჯანმრთელი კონტიგენტის ხვედრითი წონის მატებაა. აგრეთვე მისი მიზანია ადამიანთა ფიზიკური და ფსიქიური ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლისა და შესაბამისად კონტროლის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობის გზით, აგრეთვე მათი აღჭურვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. აღნიშნულის ფარგლებში ფინანსდება ააიპ – „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“, რომლის მიზანია თვითმმართველობის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, მოსახლეობისათვის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა. აგრეთვე ხორციელდება სამედიცინო დაწესებულებების რეკონსტრუქციისა და შეკეთების ღონისძიებები.

ბ) სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს ხანდაზმულთათვის, მარჩენალდაკარგულთათვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, ავადმყოფთა, გაჭირვებულთა და სოციალურად დაუცველ პირთათვის, მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა მშობლების ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა ახალშობლითა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს როგორც სოციალურად დაუცველი ახალშობილთა ოჯახების (ერთჯერად) ფინანსურ დახმარებას, მრავალშვილიანი ოჯახების (ყოველთვიურად) ფინანსურ დახმარებას, რაც ნაწილობრივ აისახება მათ სოციალურ მდგომარეობაზე. სოციალურად დაუცველ პირებზე ზრუნვა, მათი კვებით უზრუნველყოფა. მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მედიკამენტებითა და სამედიცინო დახმარების მომსახურების დაფინანსება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაფინანსებას და სხვ, გარდაცვლილ ვეტერანთა, დევნილთა, უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო ხარჯების, სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით დახმარების ღონისძიებების დაფინანსება და სხვა.

მოსალოდნელი შედეგი: მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება. ავადმყოფთა და სოციალურად დაუცველთა ოჯახების შემლებისდაგვარად გაუმჯობესებული პირობები, გარდაცვლილ ვეტერანთა, ლტოლვილთა და უპატრონო მიცვალებულთა პატივმიგება და სხვა.

შეფასების ინდიკატორი: გაუმჯობესებული სოციალური პირობები

ბ.ა) ავადმყოფთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დიალეზის სახელმწიფო პროგრამში ჩართულ პირთა დახმარებას.

ბ.ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმპ შვილების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 02 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეშშმ პირთა მცირეწლოვან შვილებზე (18 წლამდე) ყოველთვიურ ფულად დახმარებას.

ბ.გ) სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობის ერთჯერადი დახმარების

უზრუნველყოფისათვის ფულად დახმარებას (სათბობი შეშით უზრუნველყოფისათვის).

ბ.დ) უმწეოათათვის უფასო სასადილოს დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად გაჭირვებულ პირთა ყოველდღიურ უფასო სადილს, რაც უმარტივებს მათ ყოველდღიურ აუცილებელ საზრუნავს და შეძლებისდაგვარად ამსუბუქებს მათ სოციალურ მდგომარეობას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ – „უმწეოთა და უპოვართა სამსახური“ – დაფინანსება – 359,2 (სუბსიდიის მუხლი) რომელიც არის აღნიშნული ქვეპროგრამის განმახორციელებელი.

ბ.ე) ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარდაცვლილი სამამულო ომის მონაწილეების და სამაჩაბლო-აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა დაკრძალვის ხარჯების გაღებას აგრეთვე, ხორციელდება გარდაცვლილი დევნილის და უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვისათვის თანხის გამოყოფა. პროგრამის მიზანია აღნიშნული ოჯახებისათვის თანაგრძნობის გამოხატვა და უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვისათვის შესაბამისი პატივის მიგება.

ბ.ვ) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცვლეთა ოჯახებშიახალშობილთა დაბადებისას ერთჯერად ფინანსურ დახმარებას და აგრეთვე, მრავალშვილიანი ოჯახებზე, სადაც 18 წლამდე ოთხი და მეტი ბავშვიათითოეულ ბავშვზე ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას.

ბ.ზ) ვეტერანთა საზოგადოება (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სამამულო და სამაჩაბლო-აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე ვეტერანთა ორგანიზაციების ხელშეწყობა.

ბ.თ) მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის და კომუნალური გადასახადებზე ხელშეწყობის ღონისძიებების დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარჩენალდაკარგულთა ოჯახების, იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების, მრავალშვილიანი ოჯახების, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების (I ჯგუფი) და შშმ ბავშვების ოჯახების, მარტოხელა მშობლებისმიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადის თანადაფინანსება (40,0 ათ. ლარი),მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრთა შეუფერხებელი გადაადგილებისათვის გამოყოფილია ტრანსპორტი, რომელთა საშუალებითაც მთელი წლის განმავლობაში, სოფლებში, სადაც არ ხდება ტრასნპორტის რეგულარული მოძრაობა, მთელი წლის განმავლობაში შესაძლებელი იყოს შეუფერხებლად და კომფორტულად გადაადგილება (47,7 ათ. ლარი).

ბ.ი) დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 08)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დროებითი საცხოვრებელით უზრუნველყოფისათვის ბინის ქირისათვის დაფინანსებას;

ბ.კ) სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებულიდახმარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 09) ქვეპროგრამით ხორციელდება საერო,რელიგიურდა სხვა სახის დღესასწაულებზე სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებისათვისდახმარების მიზნით, ფულადი ან სხვა სახით საჩუქრების შეძენა/გადაცემას და ღონისძიებების მოწყობას (მრავალშვილიანი ოჯახები (სადაც 18 წლამდე 4 და მეტი ბავშვია და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს.), უდედმამო ბავშვები, 100 წელს გადაცილებული მოხუცები, მკვეთრადგამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, შშმ სტატუსის მქონე ბავშვები, ომის მონაწილეები, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა 18 წლამდე ასაკის შვილები, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულთა და დაღუპულთა ოჯახები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, მარტოხელა მშობლები

(ვისაც ყავს 18 წლამდე ასაკის შვილები), მარჩენალდაკარგული ოჯახები (ვისაც ყავს 18 წლამდე ასაკის შვილები), ახალშობილთა ოჯახები).

ბ.ლ) სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 10) ქვეპროგრამით ხორციელდება გაჭირვებული სოციალური ფენის ბენეფიციართა მედიკამენტებით დაფინანსება და სხვადასხვა სახის სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება/დაფინანსება.

ბ.მ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 12)

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შ.შ.მ.პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხარჯების თანადაფინანსება. აგრეთვე, თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმძიმესი საწარმოო ტრამვის შედეგად დაზარალებული პირისათვის გაწეული დახმარება.

6. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის თელავის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვა, მობილიზება და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

ბ) საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03) აღნიშნულის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოსამეთვალყურეო კამერების სამონტაჟო/საინსტალაციო ღონისძიებები.

თავი III

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი17. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს თელავისმუნიციპალიტეტი ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით მოცემული ცხრილის შესაბამისად:

კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
1	სულ ჯამი	24,381.68	5,967.90	18,413.78	35,808.75	10,471.15	25,337.60
	ხარჯები	16,303.52	549.54	15,753.98	20,904.63	2,523.65	18,380.98
	შრომის ანაზღაურება	2,551.13	0.00	2,551.13	2,739.80	0.00	2,739.80
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7,710.26	5,418.36	2,291.90	14,526.17	7,947.50	6,578.67
	ვალდებულებების კლება	367.90	0.00	367.90	377.96	0.00	377.96
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	4,055.34	0.00	4,055.34	4,976.16	0.00	4,976.16
	ხარჯები	3,683.26	0.00	3,683.26	4,031.51	0.00	4,031.51
	შრომის ანაზღაურება	2,452.25	0.00	2,452.25	2,640.00	0.00	2,640.00

	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.17	0.00	4.17	566.69	0.00	566.69
	ვალდებულებების კლება	367.90	0.00	367.90	377.96	0.00	377.96
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	769.94	0.00	769.94	897.32	0.00	897.32
	ხარჯები	769.94	0.00	769.94	887.32	0.00	887.32
	შრომის ანაზღაურება	473.95	0.00	473.95	540.00	0.00	540.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	10.00	0.00	10.00
01 02	მუნიციპალიტეტის მერია	2,697.93	0.00	2,697.93	3,409.69	0.00	3,409.69
	ხარჯები	2,693.76	0.00	2,693.76	2,853.00	0.00	2,853.00
	შრომის ანაზღაურება	1,978.30	0.00	1,978.30	2,100.00	0.00	2,100.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.17	0.00	4.17	556.69	0.00	556.69
01 03	სარეზერვო ფონდი	0.00	0.00	0.00	100.00	0.00	100.00
	ხარჯები	0.00	0.00	0.00	100.00	0.00	100.00
01 04	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	572.47	0.00	572.47	489.15	0.00	489.15
	ხარჯები	204.57	0.00	204.57	111.19	0.00	111.19
	ვალდებულებების კლება	367.90	0.00	367.90	377.96	0.00	377.96
01 04 01	მგფ-ის და სხვა დავალიანებების დაფარვა	572.47	0.00	572.47	489.15	0.00	489.15
	ხარჯები	204.57	0.00	204.57	111.19	0.00	111.19
	ვალდებულებების კლება	367.90	0.00	367.90	377.96	0.00	377.96
01 05	ა (ა) იპ კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია – ვიზით კახეთი	15.00	0.00	15.00	80.00	0.00	80.00
	ხარჯები	15.00	0.00	15.00	80.00	0.00	80.00
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	168.44	0.00	168.44	206.61	0.00	206.61
	ხარჯები	133.50	0.00	133.50	185.00	0.00	185.00
	შრომის ანაზღაურება	98.87	0.00	98.87	99.80	0.00	99.80
	არაფინანსური აქტივების ზრდა	34.94	0.00	34.94	21.61	0.00	21.61
02 02	ქვეყნის, თავდაცვისუნარიანობის	133.50	0.00	133.50	190.00	0.00	190.00

	ამაღლების ხელშეწყობა						
	ხარჯები	133.50	0.00	133.50	185.00	0.00	185.00
	შრომის ანაზღაურება	98.87	0.00	98.87	99.80	0.00	99.80
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	5.00	0.00	5.00
02 03	საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა	34.94	0.00	34.94	16.61	0.00	16.61
	არაფინანსური აქტივების ზრდა	34.94	0.00	34.94	16.61	0.00	16.61
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	10,246.77	5,528.48	4,718.29	16,449.11	8,647.74	7,801.37
	ხარჯები	3,588.61	549.54	3,039.07	5,445.60	1,450.75	3,994.86
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,658.16	4,978.94	1,679.22	11,003.50	7,197.00	3,806.51
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	5,668.49	4,607.89	1,060.59	7,824.03	5,192.83	2,631.21
	ხარჯები	330.57	71.40	259.17	476.39	97.76	378.63
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5,337.92	4,536.49	801.42	7,347.65	5,095.07	2,252.57
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3,993.94	920.59	3,073.35	7,185.42	2,685.89	4,499.53
	ხარჯები	3,099.53	478.14	2,621.40	4,704.62	1,311.49	3,393.12
	არაფინანსური აქტივების ზრდა	894.40	442.45	451.95	2,480.81	1,374.40	1,106.41
03 02 01	ბინათმშენებლობის ღონისძიებები	698.51	375.97	322.54	1,986.50	1,305.87	680.62
	ხარჯები	698.51	375.97	322.54	1,986.50	1,305.87	680.62
03 02 02	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	852.62	33.94	818.68	1,005.27	0.87	1,004.40
	ხარჯები	741.14	0.00	741.14	900.00	0.00	900.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	111.48	33.94	77.54	105.27	0.87	104.40
03 02 03	გარემოს დაცვითი ღონისძიებები	887.09	102.17	784.92	1,162.52	129.24	1,033.29
	ხარჯები	887.09	102.17	784.92	888.62	5.62	883.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	273.90	123.62	150.29

03 02 03 01	დასუფთავების ღონისძიებები	734.93	0.00	734.93	833.00	0.00	833.00
	ხარჯები	734.93	0.00	734.93	833.00	0.00	833.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
03 02 03 02	ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებები	49.96	0.00	49.96	323.90	123.62	200.29
	ხარჯები	49.96	0.00	49.96	50.00	0.00	50.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	273.90	123.62	150.29
03 02 03 03	გარემოს დაცვის ღონისძიებები	102.20	102.17	0.03	5.62	5.62	0.00
	ხარჯები	102.20	102.17	0.03	5.62	5.62	0.00
03 02 04	სასმელი წყლის „სოკო“	2.52	0.00	2.52	5.00	0.00	5.00
	ხარჯები	2.52	0.00	2.52	5.00	0.00	5.00
03 02 05	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0.00	0.00	0.00	54.43	54.43	0.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	54.43	54.43	0.00
03 02 06	წყალმომარაგების ღონისძიებები	1,533.35	408.51	1,124.84	2,953.20	1,195.48	1,757.72
	ხარჯები	750.83	0.00	750.83	906.00	0.00	906.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	782.52	408.51	374.01	2,047.20	1,195.48	851.72
03 02 08	საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებები	19.84	0.00	19.84	18.50	0.00	18.50
	ხარჯები	19.44	0.00	19.44	18.50	0.00	18.50
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.40	0.00	0.40	0.00	0.00	0.00
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	569.35	0.00	569.35	388.98	0.00	388.98
	ხარჯები	143.51	0.00	143.51	204.60	0.00	204.60
	არაფინანსური აქტივების ზრდა	425.84	0.00	425.84	184.38	0.00	184.38
03 03 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოები	474.92	0.00	474.92	218.98	0.00	218.98

	ხარჯები	49.09	0.00	49.09	34.60	0.00	34.60
	არაფინანსური აქტივების ზრდა	425.8	0.0	425.8	184.4	0.0	184.4
03 03 02	პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოწყობის და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	59.98	0.00	59.98	100.00	0.00	100.00
	ხარჯები	59.98	0.00	59.98	100.00	0.00	100.00
03 03 03	სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	34.44	0.00	34.44	70.00	0.00	70.00
	ხარჯები	34.44	0.00	34.44	70.00	0.00	70.00
03 04	მაწანწალა ცხოველებისგან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები	15.00	0.00	15.00	0.00	0.00	0.00
	ხარჯები	15.0	0.0	15.0	0.0	0.0	0.0
03 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებები	0.00	0.00	0.00	717.00	478.00	239.00
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	60.0	41.5	18.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	657.00	436.50	220.50
03 07	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	0.00	0.00	0.00	333.67	291.02	42.65
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	333.67	291.02	42.65
04 00	განათლება	4,630.84	163.10	4,467.74	6,343.51	1,260.58	5,082.93
	ხარჯები	4,217.35	0.00	4,217.35	5,745.50	1,072.90	4,672.60
	არაფინანსური აქტივების ზრდა	413.49	163.10	250.40	598.00	187.68	410.33
04 01	სკოლამდელი განათლება	4,546.53	163.10	4,383.43	5,063.00	187.68	4,875.33
	ხარჯები	4,133.04	0.00	4,133.04	4,465.00	0.00	4,465.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	413.49	163.10	250.40	598.00	187.68	410.33
04 01 01	ა (ა) იპ – თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო	4,153.11	0.00	4,153.11	4,545.00	0.00	4,545.00
	ხარჯები	4,133.04	0.00	4,133.04	4,465.00	0.00	4,465.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	20.07	0.00	20.07	80.00	0.00	80.00
04 01 02	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები	393.42	163.10	230.32	518.00358	187.68	330.33

	არაფინანსური აქტივების ზრდა	393.42	163.10	230.32	518.00	187.68	330.33
04 02	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	84.31	0.00	84.31	88.50	0.00	88.50
	ხარჯები	84.31	0.00	84.31	88.50	0.00	88.50
04 04	საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები	0.00	0.00	0.00	1,192.00	1,072.90	119.10
	ხარჯები	0.00	0.00	0.00	1,192.00	1,072.90	119.10
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	3,602.23	276.32	3,325.91	5,536.88	305.24	5,231.64
	ხარჯები	3,015.20	0.00	3,015.20	3,531.11	0.00	3,531.11
	არაფინანსური აქტივების ზრდა	587.02	276.32	310.70	2,005.77	305.24	1,700.53
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1,824.90	231.66	1,593.24	2,716.19	305.24	2,410.95
	ხარჯები	1,387.53	0.00	1,387.53	1,474.40	0.00	1,474.40
	არაფინანსური აქტივების ზრდა	437.37	231.66	205.71	1,241.79	305.24	936.55
05 01 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები	429.97	231.66	198.30	1,251.79	305.24	946.55
	ხარჯები	60.76	0.00	60.76	69.00	0.00	69.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	369.20	231.66	137.54	1,182.79066	305.24	877.55
05 01 02	სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა	1,394.94	0.00	1,394.94	1,464.40	0.00	1,464.40
	ხარჯები	1,326.76	0.00	1,326.76	1,405.40	0.00	1,405.40
	არაფინანსური აქტივების ზრდა	68.17	0.00	68.17	59.00	0.00	59.00
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1,588.14	44.66	1,543.48	1,950.67	0.00	1,950.67
	ხარჯები	1,499.08	0.00	1,499.08	1,883.70	0.00	1,883.70
	არაფინანსური აქტივების ზრდა	89.06	44.66	44.40	66.97	0.00	66.97
05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	1,525.45	0.00	1,525.45	1,822.67	0.00	1,822.67
	ხარჯები	1,497.05	0.00	1,497.05	1,793.67	0.00	1,793.67
	არაფინანსური აქტივების ზრდა	28.40	0.00	28.40	29.00	0.00	29.00
05 02 02	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	62.69	44.66	18.03	128.00	0.00	128.00

	ხარჯები	2.03	0.00	2.03	90.04	0.00	90.04
	არაფინანსური აქტივების ზრდა	60.66	44.66	16.00	37.97	0.00	37.97
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების და ღონისძიებების ხელშეწყობა	52.83	0.00	52.83	52.76	0.00	52.76
	ხარჯები	52.83	0.00	52.83	52.76	0.00	52.76
05 04	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	40.00	0.00	40.00	40.00	0.00	40.00
	ხარჯები	40.00	0.00	40.00	40.00	0.00	40.00
05 05	ძეგლთა დაცვის ღონისძიებები	48.94	0.00	48.94	153.98627	0.00	153.99
	ხარჯები	35.76	0.00	35.76	80.25	0.00	80.25
	არაფინანსური აქტივების ზრდა	13.18	0.00	13.18	73.74	0.00	73.74
05 06	დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა	47.41	0.00	47.41	623.27832	0.00	623.28
	არაფინანსური აქტივების ზრდა	47.41	0.00	47.41	623.28	0.00	623.28
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,678.06	0.00	1,678.06	2,296.49	257.59	2,038.90
	ხარჯები	1,665.58	0.00	1,665.58	1,965.90	0.00	1,965.90
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12.48	0.00	12.48	330.59	257.59	73.00
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებები	131.49	0.00	131.49	557.59	257.59	300.00
	ხარჯები	131.49	0.00	131.49	227.00	0.00	227.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	330.59	257.59	73.00
06 01 01	ა (ა) იპ – თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი	80.77	0.00	80.77	130.00	0.00	130.00
	ხარჯები	80.77	0.00	80.77	127.00	0.00	127.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	3.0	0.0	3.0
06 01 02	ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებები	50.72	0.00	50.72	427.58700	257.59	170.00
	ხარჯები	50.7	0.0	50.7	100.0	0.0	100.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00	327.59	257.59	70.00
06 02	სოციალური პროგრამები	1,546.57	0.00	1,546.57	1,738.90	0.00	1,738.90

	ხარჯები	1,534.09	0.00	1,534.09	1,738.90	0.00	1,738.90
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12.48	0.00	12.48	0.00	0.00	0.00
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	25.67	0.00	25.67	31.80	0.00	31.80
	ხარჯები	25.67	0.00	25.67	31.80	0.00	31.80
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	701.55	0.00	701.55	454.00	0.00	454.00
	ხარჯები	701.55	0.00	701.55	454.00	0.00	454.00
06 02 02 01	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმპ შვილების სოციალური დაცვა	12.15	0.00	12.15	9.00	0.00	9.00
	ხარჯები	12.15	0.00	12.15	9.00	0.00	9.00
06 02 02 02	სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება	689.40	0.00	689.40	445.00	0.00	445.00
	ხარჯები	689.40	0.00	689.40	445.00	0.00	445.00
06 02 03	უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	280.06	0.00	280.1	359.20	0.00	359.2
	ხარჯები	267.58	0.00	267.58	359.20	0.00	359.20
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12.5	0.0	12.5	0.0	0.0	0.0
06 02 04	ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	2.95	0.00	2.95	10.00	0.00	10.00
	ხარჯები	2.95	0.00	2.95	10.00	0.00	10.00
06 02 05	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	117.97	0.00	117.97	156.30	0.00	156.30
	ხარჯები	117.97	0.00	117.97	156.30	0.00	156.30
06 02 06	ვეტერანთა საზოგადოება	4.00	0.00	4.00	4.00	0.00	4.00
	ხარჯები	4.00	0.00	4.00	4.00	0.00	4.00
06 02 07	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის და კომუნალურ გადასახადებზე დახმარების ღონისძიებები	58.06	0.00	58.06	87.70	0.00	87.70
	ხარჯები	58.06	0.00	58.06	87.70	0.00	87.70
06 02 08	დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები	39.02	0.00	39.02	55.00	0.00	55.00
	ხარჯები	39.02	0.00	39.02	55.00	0.00	55.00

06 02 09	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	34.35	0.00	34.35	55.07	0.00	55.07
	ხარჯები	34.35	0.00	34.35	55.07	0.00	55.07
06 02 10	სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები	269.76	0.00	269.76	489.72	0.00	489.72
	ხარჯები	269.76	0.00	269.76	489.72	0.00	489.72
06 02 12	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	13.18	0.00	13.18	36.10	0.00	36.10
	ხარჯები	13.18	0.00	13.18	36.10	0.00	36.10